# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 210

„23" ივლისი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.064.072) და ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.064.073) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ მანაშეროვისთვის (პ/ნ:01015003210) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.18.03.064.072, №01.18.03.064.073) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ მანაშეროვისთვის (პ/ნ: 01015003210) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 26 ივნისის №19.713.914 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.064.072) და ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.064.073) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ მანაშეროვისთვის (პ/ნ:01015003210) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე